



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 11 მარტი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №74/18-3

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 6 მარტის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 10 სექტემბრის №74/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 11 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:**

საჩივრის ავტორი მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერებას ხდის სადავოდ.

**2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

-- -- 2013 წლის 24 სექტემბერს სარჩელით მიმართა -- რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის - შპს „--“ მიმართ მიუღებელი ხელფასისა და დაყოვნებული თანხის 0.07%-ის ანაზღაურების მოთხოვნით.

-- რაიონული სასამართლოს 2013 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

-- რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- -- და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

-- სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 16 დეკემბრის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

-- -- -- სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 16 დეკემბრის განჩინებაზე საქართველოს უზენაეს სასამართლოში შეიტანა კერძო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 6 თებერვლის განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

### **3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

“საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>2</sup> მუხლის თანახმად, „მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან - 1 წელი.“

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების ვადა ამოიწურა.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გადაწყვეტილება მოსამართლე -- -- მიერ მიღებულ იქნა 2013 წლის 16 დეკემბერს, რის გამოც, დღეის მდგომარეობით, გასულია მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ხსენებული ნორმა წარმოადგენს მოსამართლე -- -- მიმართ, დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველს.

ამასთან, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს იუსტიციის საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>2</sup> მუხლი წარმოადგენს მოსამართლე -- -- მიმართ,

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველს. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2019 წლის 11 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

დისციპლინურ საქმეზე №74/18-3 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**გიორგი მიქაუტაძე**

**საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი**